აქ $\varphi_{jn_3 n_2}^0$, $\varphi_{jn_3 n_2}^L$, $\psi_{jn_3 n_2}^0$, $\psi_{jn_3 n_2}^L$ მოცემული მუდმივებია,

$$I_0^{n_3, n_2} := \int_0^\varepsilon h_2^{-2n_2-1}(\tau) h_3^{-2n_3-1}(\tau) d\tau, \quad \varepsilon = \text{const} > 0,$$

$$I_L^{n_3, n_2} := \int_{L-\varepsilon}^L h_2^{-2n_2-1}(\tau) h_3^{-2n_3-1}(\tau) d\tau, \quad \varepsilon = \text{const} > 0.$$

(3.2.21), (3.2.22), (3.2.26), (3.2.27); (3.2.21), (3.2.22), (3.2.26), (3.2.31); (3.2.21), (3.2.22), (3.2.27), (3.2.30); (3.2.21), (3.2.22), (3.2.26), (3.2.29); (3.2.21), (3.2.22), (3.2.27), (3.2.28) სასაზღვრო ამოცანები ცალსახად ამოხსნადა, ხოლო (3.2.21), (3.2.22), (3.2.28), (3.2.29) სასაზღვრო ამოცანა ამოხსნადა ხისტი გადაადგილების სიზუსტით (იხ. [21]). ანალოგიური დასკვნების გამოტანა შეიძლება უცნობი სიდიდეების ინდექსების მიმართ შერეული სასაზღვრო ამოცანების მიმართაც.

დინამიკურ შემთხვევაში ზემოხსენებულ სასაზღვრო პირობებს ემატება (3.2.24) საწყისი პირობები. საწყისი პირობების დასმა, სასაზღვრო პირობებისაგან განსხვავებით, ღეროს წამახვილებაზე არ არის დამოკიდებული, რადგან (3.2.21), (3.2.22) სისტემა არ არის გადავარებული t -ს მიმართ საერთოდ და, კერძოდ, როცა $t = 0$.

N_3, N_2 -ის თითოეული კონკრეტული მნიშვნელობის შემთხვევაში ვიღებთ კონკრეტულ იერარქიულ მოდელს – მიახლოებას. თითოეული მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელ მათემატიკურ მოდელს, რომელსაც დამოუკიდებელი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. მაგალითად, $(0,0)$ მიახლოება შეესაბამება ღეროს გაჭიმვა-კუმშვის კლასიკურ მოდელს, ხოლო $(1,0)$ მიახლოება – ღეროს კლასიკური ღუნვის მოდელს კოეფიციენტების სიზუსტით.

წამახვილებული ღეროებისა და ფირფიტების კორექტულად დასმული სასაზღვრო ამოცანების მიმართების საკითხი სამგან-

ზომილებიანი მოდელის სასაზღვრო ამოცანებთან განხილულია [22]-სა და [24]-ში.

3.2.2. (0,0) miachloeba

(0,0) მიახლოებაში (3.2.21), (3.2.22) სისტემა იღებს შემდეგ სახეს:

$$\left(h_2 h_3 v_{j,i}(x_1, t)\right)_{,1} + Y_j^{0,0} = \Lambda_j^{-1} \rho h_2 h_3 \frac{\partial^2 v_j(x_1, t)}{\partial t^2}, \quad (3.2.32)$$

$$j = 1, 2, 3,$$

$$v_j(x_1, t) := \frac{u_{j \ 00}(x_1, t)}{h_2(x_1)h_3(x_1)}, \quad Y_1^{0,0} := \frac{X_1^{0,0}}{\lambda + 2\mu}, \quad Y_i^{0,0} := \frac{X_i^{0,0}}{\mu}, \quad i = 2, 3.$$

როგორც ვხედავთ, სისტემა დაიშალა სამ დამოუკიდებელ ერთი და იმავე ტიპის განტოლებად. ადვილი სანახავია, რომ სტატისტიკურ შემთხვევაში (ე.ი., (3.2.32)-ის მარჯვენა მხარეში ნულია)

$$\left(h_2 h_3 v_{j,i}(x_1, t)\right)_{,1} + Y_j^{0,0} = 0, \quad j = 1, 2, 3, \quad (3.2.33)$$

და მათ ზოგად ამონახსნს $C^2(]0, L[)$ კლასში აქვს

$$v_j(x_1) = - \int_{x_1^0}^{x_1} \frac{d\tau}{h_2(\tau)h_3(\tau)} \int_{x_1^0}^{\tau} Y_j^{0,0}(t) dt + c_1^j \int_{x_1^0}^{x_1} \frac{d\tau}{h_2(\tau)h_3(\tau)} + c_2^j, \quad (3.2.34)$$

$$x_1^0 = \text{const} \in]0, 1[, \quad c_\alpha^j = \text{const}, \quad \alpha = 1, 2, \quad j = 1, 2, 3,$$

სახე.

(3.2.26)-(3.2.31) სასაზღვრო პირობები იღებენ

$$v_j(0) = \varphi_j^0 \text{ (დირიხლეს პირობა),}$$

$$\text{თუ } I_0^{0,0} < +\infty, \quad j = 1, 2, 3, \quad (3.2.35)$$

$$v_j(L) = \varphi_j^L \text{ (დირიხლეს პირობა),}$$

$$\text{თუ } I_L^{0,0} < +\infty, \quad j = 1, 2, 3, \quad (3.2.36)$$

$$v_j(x_1) = O(1), \quad x \rightarrow 0+, \text{ თუ } I_0^{0,0} = +\infty, \quad j = 1, 2, 3, \quad (3.2.37)$$

$$v_j(x_1) = O(1), \quad x \rightarrow L-, \text{ თუ } I_L^{0,0} = +\infty, \quad j = 1, 2, 3, \quad (3.2.38)$$

$$X_{1j00}(0) = \Lambda_j h_2 h_3 v_{j,1}|_{x_1=0} = \psi_j^0 \text{ (ნეიმანის წონიანი პირობა),}$$

$$\text{თუ } I_0^{0,0} \leq +\infty, \quad j = 1, 2, 3, \quad (3.2.39)$$

$$X_{1j00}(L) = \Lambda_j h_2 h_3 v_{j,1}|_{x_1=L} = \psi_j^L \text{ (ნეიმანის წონიანი პირობა),}$$

$$\text{თუ } I_L^{0,0} \leq +\infty, \quad j = 1, 2, 3, \quad (3.2.40)$$

სახეს, სადაც $\varphi_j^0, \psi_j^0, \varphi_j^L, \psi_j^L$ მოცემული მუდმივებია.

ვთქვათ, $Y_{j00} \in L([0, L])$, ე.ი. ინტეგრებადია (ჯამებადია) და თუ $I_0^{0,0} = +\infty$ $\left(I_L^{0,0} = +\infty \right)$, მაშინ ის ისეთია, რომ (3.2.34)-ში იტერირებული ინტეგრალი იყოს შემოსაზღვრული, როცა $x_1 \rightarrow 0+(L-)$.

თუ $h_2^{-1}h_3^{-1}$ ლოკალურად ჯამებადია $]0, L[$ -ში, მაშინ (3.2.34)-დან გამომდინარეობს, რომ რეგულარული ამონახსნისათვის (ე.ი. $v_j \in C^2([0, L])$) მხოლოდ შემდეგი ამოცანებია კორექტული (3.2.33), (3.2.35), (3.2.36) ($v_j \in C([0, L])$);

(3.2.33), (3.2.37), (3.2.36) ($v_j \in C([0, L])$); (3.2.33), (3.2.35), (3.2.38) ($v_j \in C([0, L])$); (3.2.33), (3.2.37), (3.2.38); (3.2.33), (3.2.35), (3.2.40) ($v_j \in C([0, L])$, $h_2 h_3 v_{j,1} \in C([0, L])$); (3.2.33), (3.2.39), (3.2.36) ($v_j \in C([0, L])$, $h_2 h_3 v_{j,1} \in C([0, L])$); შერეული ამოცანები, როცა ერთ ბოლოში j -ის ზოგიერთი მნიშვნელობისათვის მოცემულია ღირისლეს პირობა, ხოლო j -ის დანარჩენი მნიშვნელობისათვის მოცემულია ან ნეიმანის, ან (3.2.37), (3.2.38) ტიპის პირობა, ხოლო მეორე ბოლოში j -ის პირველი მნიშვნელობისათვის მოცემულია ან ღირისლეს, ან ნეიმანის, ან (3.2.37), (3.2.38) ტიპის პირობა, ხოლო j -ის დანარჩენი მნიშვნელობისათვის მოცემულია ღირისლეს (ნეიმანის და (3.2.37), (3.2.38) ტიპის პირობა დასაშვები არ არის) პირობა, როცა მეორე ბოლოში ნეიმანის პირობაა მოცემული და ღირისლეს ან (3.2.37), (3.2.38) ტიპის პირობა (ნეიმანის პირობა დასაშვები არაა), როცა მეორე ბოლოში (3.2.38), (3.2.37) ტიპის პირობაა მოცემული.

(3.2.33), (3.2.37), (3.2.38) სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი განსაზღვრულია ხისტი გადატანის ($c_1^j = 0$; c_2^j , $j = 1, 2, 3$, ნებისმიერი მუდმივებია) სიზუსტით. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ამ შემთხვევაში ღეროზე, როგორც სამგანზომილებიან სხეულზე, მოქმედებენ მხოლოდ ზედაპირული ძალები, რომლებიც შეტანილია Y_{j00} , $j = 1, 2, 3$, გამოსახულებებში. შევნიშნოთ, რომ ფიზიკური (მექანიკური) მოსაზრებებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ჩვენ იმ სასაზღვრო ამოცანებს, რომელთა ამონახსნები ხისტი გადაადგილების სიზუსტით განისაზღვრება, კორექტულად – “კარგად” დასმული ვუწოდოთ.

ადვილი სანახავია, რომ ორივე ბოლოში ნეიმანის პირობის დასახელება დასაშვები (შესაძლებელი) არ არის. ის შეიძლება

მხოლოდ ერთ ბოლოში დასახელდეს და ამასთან ამონახსნი სისტემა გადატანის სიზუსტით იქნება განსაზღვრული, რაც ბუნებრივია, რადგან ღეროზე მოქმედებენ მხოლოდ ზედაპირული ძალები ერთი ბოლოს ჩათვლით, ხოლო მეორე ბოლო საერთოდ განთავისუფლებულია სასაზღვრო პირობებისაგან. ხაზგასასმელია, რომ ეს თავისებურება ღეროს წამახვილებით არ არის გამოწვეული. ეს $(0,0)$ მოდელის სიუხეშიდან გამომდინარეობს, ასევე არ არიან ამოხსნადი (3.2.33), (3.2.37), (3.2.40) და (3.2.33), (3.2.38), (3.2.39) სასაზღვრო ამოცანები (რომლებიც მხოლოდ წამახვილებული ღეროსათვის წარმოიშეებიან), რადგან ამ შემთხვევებში $c_1^j = 0$ და შეუძლებელია c_2^j მუდმივით (3.2.40) და (3.2.39) პირობების დაკმაყოფილება.

$(0,0)$ მიახლოებაში დინამიკის ამოცანა დირიხლეს პირობების (იმ შემთხვევის ჩათვლით, როცა წამახვილებული ბოლო თავისუფლდება სასაზღვრო პირობისაგან) შემთხვევაში, როცა ღეროს მხოლოდ ერთ ბოლოში აქვს ხარისხოვანი წამახვილება, გამოკვეთულია [26]-ში. დინამიკის ამოცანები დანარჩენი ზემოთ მითითებული სასაზღვრო პირობების შემთხვევაში შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.

3.2.3. $(1,0)$ mიახლოება

სიმეტრიული ღეროების შემთხვევაში, ე.ი. როცა $\tilde{h}_i \equiv 0$, $i = 2,3$, $(1,0)$ მიახლოებაში (3.2.21), (3.2.22) სისტემა იღებს შემდეგ სახეს:

$$(\lambda + 2\mu)(h_2 h_3 v_{100,1})_{,1} + 3\lambda(h_2 h_3 v_{310})_{,1} + X_1^{0,0} = 0, \quad (3.2.41)$$

$$\mu(h_2 h_3^3 v_{310,1})_{,1} - 3(\lambda + 2\mu)h_2 h_3 v_{310} - \lambda h_2 h_3 v_{100,1} + h_3 X_3^{1,0} = 0, \quad (3.2.42)$$

$$\mu(h_2 h_3 v_{200,1})_{,1} + X_2^{0,0} = 0, \quad (3.2.43)$$

$$\mu(h_2 h_3^3 v_{210,1})_{,1} - 3\mu h_2 h_3 v_{210} + h_3 X_2^{1,0} = 0, \quad (3.2.44)$$

$$\mu(h_2 h_3 v_{300,1})_{,1} + 3\mu(h_2 h_3 v_{110})_{,1} + X_3^{0,0} = 0, \quad (3.2.45)$$

$$(\lambda + 2\mu)(h_2 h_3^3 v_{110,1})_{,1} - \mu h_2 h_3 v_{300,1} - 3\mu h_2 h_3 v_{110} + h_3 X_1^{1,0} = 0. \quad (3.2.46)$$

სასაზღვრო ამოცანები (3.2.43) განტოლებისათვის გამოკვლეული იყო 3.2.2 ქვეპარაგრაფში. აქედან გამომდინარე, მაგალითად, დირიხლეს პირობები v_{200} -სათვის შეიძლება დასმული იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა $I_0^{0,0} < +\infty$, $I_L^{0,0} < +\infty$. ანლოგიურად შეიძლება გამოკვლეულ იქნეს (3.2.44) განტოლებაც, რაც იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ ამ განტოლებისათვის და ე.ი. v_{210} -სათვის დირიხლეს პირობები შეიძლება დასმულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა $I_0^{1,0} < \infty$, $I_L^{1,0} < \infty$. ამ შემთხვევაში

$$u_2(x_1, x_2, x_3) \approx \frac{1}{4} v_{200}(x_1) + \frac{3x_3}{4} v_{210}(x_1),$$

საიდანაც

$$\lim_{x_1 \rightarrow 0+(L-)} u(x_1, x_2, x_3) \approx \frac{1}{4} v_{200} \Big|_{x_1=0(L)},$$

როცა $I_0^{1,0} < +\infty$ ($I_L^{1,0} < +\infty$), ან როცა $I_0^{0,0} < +\infty$ ($I_L^{0,0} < +\infty$),

მაგრამ v_{210} შემოსაზღვრულია, თუ $I_0^{1,0} = +\infty$ ($I_L^{1,0} = +\infty$).

(3.2.45), (3.2.46) და (3.2.41), (3.2.42) სისტემები შეიძლება შემდეგი სახით გადავწეროთ:

$$3\mu v_{110} = -\mu v_{300,1} - h_2^{-1}(x_1) h_3^{-1}(x_1) \left(\int_{x_1^0}^{x_1} X_3^{0,0}(x_1) dx_1 - C_1 \right),$$

$$C_1 = \text{const}, \quad x_1^0 \in]0, L[,$$

$$\begin{aligned} (\lambda + 2\mu)(h_2 h_3^3 v_{300,11})_{,11} &= 3 X_3^{0,0} + 3 \left(h_3 X_1^{0,0} \right)_{,1} \\ &- \frac{\lambda + 2\mu}{\mu} \left[h_2 h_3^3 \left(h_2^{-1} h_3^{-1} \int_{x_1^0}^{x_1} X_3^{0,0}(x_1) dx_1 - h_2^{-1} h_3^{-1} C_1 \right) \right]_{,1,11} \end{aligned}$$

და

$$3\lambda v_{310} = -(\lambda + 2\mu)v_{100,1} - h_2^{-1}(x_1) h_3^{-1}(x_1) \left(\int_{x_1^0}^{x_1} X_3^{0,0}(x_1) dx_1 - C_2 \right),$$

$$C_2 = \text{const},$$

$$\begin{aligned} &(\lambda + 2\mu)\mu(h_2 h_3^3 v_{100,11})_{,11} - 12(\lambda + \mu)\mu(h_2 h_3 v_{100,1})_{,1} \\ &= -\mu \left\{ h_2 h_3^3 \left[\left(h_2^{-1} h_3^{-1} \int_{x_1^0}^{x_1} X_1^{0,0}(x_1) dx_1 \right)_{,1} - C_2 (h_2^{-1} h_3^{-1})_{,1} \right] \right\}_{,11} \end{aligned}$$

$$+12 \frac{(\lambda + \mu)\mu}{\lambda + 2\mu} X_1^{0,0} + \frac{3\lambda^2}{\lambda + 2\mu} X_1^{0,0} + 3\lambda \left(h_3 X_3^{1,0} \right)_{,1}.$$

ამ სისტემების უპირატესობა ისაა, რომ მათ შორის მეორე განტოლებები მხოლოდ ერთ უცნობს შეიცავენ და მათი ამოხსნის შემდეგ პირველი განტოლებებიდან ადვილად დაითვლება V_{110} და V_{310} .

ერთი ბოლოთი ხარისხობრივად წამახვილებული ღეროს შემთხვევაში დინამიკის ამოცანები, როცა სასაზღვრო პირობები დირიხლეს ტიპისაა, გამოკვლეულია [26]-ში. სხვა ტიპის სასაზღვრო ამოცანებისა და შესაბამისი დინამიკის ამოცანების შესწავლა შემდგომი კვლევის საგანია.

ნაწილი IV. ღრეკად და თხევად გარემოთა ურთიერთქმედების ამოცანები

§4.1. transmissiis (sakontaqto) pirobebi

სითხისა და ღრეკადი სხეულის ურთიერთქმედების ამოცანები თანამედროვე აქტუალურ სამეცნიერო თემატიკას განეკუთვნებიან. მათი მნიშვნელობა განპირობებულია, მაგალითად, ნავთობის ნავთობსადენებში, სისხლის სისხლძარღვებში მოძრაობის, სანაპირო გამაგრების ამოცანების აქტუალობით. დღეისათვის მიმდინარეობს ამოცანების ინტენსიური კვლევა *ინტერფეისზე* (სხეულის თხევადი და მყარი ნაწილების გამყოფ საკონტაქტო ზედაპირზე) სხვადასხვა ტრანსმისიის ანუ საკონტაქტო პირობების შემთხვევაში. ამასთან კვლავ გრძელდება ფიზიკური თვალსაზრისით გამართლებული საკონტაქტო პირობების დადგენის პროცესი [42], [56], [18], [7-10].

სამგანზომილებიან მოდელეებში ჩვეულებრივ იყენებენ

$$\begin{aligned} [u]_I &:= u^f - u^s = 0, \\ [\sigma_{ij} n_j^s]_I &:= \sigma_{ij}^s n_j^s - \sigma_{ij}^f n_j^s = \sigma_{ij}^s n_j^s + \sigma_{ij}^f n_j^f = 0, \end{aligned} \quad (4.1.1)$$

საკონტაქტო პირობებს, სადაც u^s , σ_{ij}^s და u^f , σ_{ij}^f , $i, j = 1, 2, 3$, არის გადაადგილების ვექტორის და ძაბვის ტენზორის კომპონენტები შესაბამისად სხეულის მყარ და თხევად ნაწილებში; n^s და n^f შესაბამისად $\partial\Omega^s$ -ის და $\partial\Omega^f$ -ის გარე ნორმალეებია, ხოლო I არის ინტერფეისის მყარ და თხევად ნაწილებს შორის.

გამოკვლეულია აგრეთვე ზოგიერთი ამოცანა შემდეგი უნილათერალური (ცალმხრივი) საკონტაქტო პირობებით [7]:

$$[u_i N_i]_I \geq 0, \quad (4.1.2)$$

$$\sigma_{ij}^s n_j^s = \sigma_{NN}^s N_i, \quad \sigma_{ij}^f n_j^f = -\sigma_{NN}^s N_i, \quad (4.1.3)$$

$$\sigma_{NN}^s \leq 0, \quad (4.1.4)$$

$$\text{და } \sigma_{NN}^s = 0, \text{ თუ } [u_i N_i]_I > 0. \quad (4.1.5)$$

(4.1.3) იმას ნიშნავს, რომ I ინტერფეისზე მხოლოდ ნორმალური დაბეჭედი მოქმედებენ (მხები კომპონენტები ნულის ტოლია, σ_{NN}^s ნორმალური კომპონენტია, N ინტერფეისის გარე ნორმალია Ω^s -ის მიმართ), რომლებიც ერთმანეთს აწონასწორებენ; (4.1.4) ნიშნავს იმას, რომ გვაქვს კუმშვა; (4.1.5) კი იმას ნიშნავს, რომ თუ მყარი და თხევადი ნაწილები ინტერფეისის რაიმე წერტილში ერთმანეთს არ ებჯინება, მაშინ ამ წერტილში ნორმალური ძალები ნულის ტოლია.

განიხილავენ აგრეთვე საკონტაქტო პირობებს სამგანზომილებიან სითხესა და ღრეკად გარსს ან ფირფიტას შორის. ვთქვათ, სითხე იწვევს ფირფიტის ღუნვას. თუ განვიხილავთ ღუნვას კირხჰოფ-ლიავის მოდელის საფუძველზე, მაშინ, რამდენადაც ყველა გეომეტრიული და ფიზიკური სიდიდე გამოისახება ჩალუნვით, საკონტაქტო პირობებად შეიძლება გამოვიყენოთ (4.1.1) ან (4.1.2)-(4.1.5) პირობები. საკონტაქტო პირობების მოდელირება შემდეგნაირადაც შეიძლება. ვთქვათ, ფირფიტის შუა სიბრტყე მდებარეობს Ox_1x_2 სიბრტყეზე და სითხის ნაკადი იწვევს ფირფიტის ღუნვას. მაშინ ფირფიტის დატვირთვის ინტენსიობისათვის გვექნება

$$q \equiv q_3(x_1, x_2, t) = \sigma_{N3}^f \left(x_1, x_2, h^{(+)}(x_1, x_2), t \right) + \sigma_{N3}^f \left(x_1, x_2, h^{(-)}(x_1, x_2), t \right), \quad (4.1.6)$$

$$\begin{aligned}
q_\beta(x_1, x_2, t) &= \sigma_{N\beta}^f \left(x_1, x_2, h^{(+)}(x_1, x_2), t \right) \\
&= \sigma_{N\beta}^f \left(x_1, x_2, h^{(-)}(x_1, x_2), t \right) = 0, \quad \beta = 1, 2,
\end{aligned}$$

გამოსახულებები, ხოლო სითხის (v_1, v_2, v_3) სიჩქარის მნიშვნელობა ფირფიტის პირით ზედაპირებზე და ფირფიტის w ჩაღუნვა შემდეგი ტოლობებით იქნებიან დაკავშირებულნი:

$$\begin{aligned}
\frac{\partial w(x_1, x_2, t)}{\partial t} &= v_3 \left(x_1 - h^{(+)}(x_1, x_2) w_{,1}(x_1, x_2, t), x_2 \right. \\
&\quad \left. - h^{(+)}(x_1, x_2) w_{,2}(x_1, x_2, t), h^{(+)}(x_1, x_2) + w(x_1, x_2, t), t \right) \\
&= v_3 \left(x_1 - h^{(-)}(x_1, x_2) w_{,1}(x_1, x_2, t), x_2 \right. \\
&\quad \left. - h^{(-)}(x_1, x_2) w_{,2}(x_1, x_2, t), h^{(-)}(x_1, x_2) + w(x_1, x_2, t), t \right), \quad (4.1.7)
\end{aligned}$$

$$\begin{aligned}
\frac{\partial}{\partial t} u_\alpha(x_1, x_2, h^{(+)}(x_1, x_2), t) &= -h^{(+)}(x_1, x_2) \frac{\partial^2 w(x_1, x_2, t)}{\partial x_\alpha \partial t} \\
&= v_\alpha \left(x_1 - h^{(+)}(x_1, x_2) w_{,1}(x_1, x_2, t), x_2 \right. \\
&\quad \left. - h^{(+)}(x_1, x_2) w_{,2}(x_1, x_2, t), h^{(+)}(x_1, x_2) + w(x_1, x_2, t), t \right), \quad (4.1.8)
\end{aligned}$$

$$\begin{aligned} \frac{\partial}{\partial t} u_\alpha(x_1, x_2, \overset{(-)}{h}(x_1, x_2), t) &= -\overset{(-)}{h}(x_1, x_2) \frac{\partial^2 w(x_1, x_2, t)}{\partial x_\alpha \partial t} \\ &= v_\alpha \left(x_1 - \overset{(-)}{h}(x_1, x_2) w_{,1}(x_1, x_2, t), x_2 \right. \\ &\quad \left. - \overset{(-)}{h}(x_1, x_2) w_{,2}(x_1, x_2, t), \overset{(-)}{h}(x_1, x_2) + w(x_1, x_2, t), t \right), \quad (4.1.9) \end{aligned}$$

$$\alpha = 1, 2, \quad (x_1, x_2) \in \omega,$$

((4.1.7)-ში მეორე ტოლობა სამართლიანია იმის გამო, რომ $w \equiv u_3$ ჩაღუნვა არ არის დამოკიდებული x_3 -ზე), სადაც ω

არის ფირფიტის გეგმილი Ox_1x_2 სიბრტყეზე, $x_3 = \overset{(\pm)}{h}(x_1, x_2)$ არის ფირფიტის ზედა და ქვედა პირითი ზედაპირები. როგორც ვხედავთ (4.1.6)-(4.1.9) საკონტაქტო პირობებში ყველა ფუნქცია დროის ყველა მომენტში დამოკიდებულია $(x_1, x_2) \in \omega$ წერტილებზე და ამდენად საკონტაქტო პირობები ფაქტობრივად ჩაწერილი გვაქვს ω არეში.

თუ ფირფიტა საკმარისად თხელია, (4.1.6)-(4.1.9) საკონტაქტო პირობები შეიძლება კიდევ უფრო გავამარტივოთ შემდეგ დაშვებებზე დაყრდნობით:

- 1) ჩავთვალოთ, რომ სითხეს უკავია $\overline{(\Omega^f \cup \Omega^s)} \setminus \omega$ არე;
- 2) ჩავთვალოთ, რომ დრეკად ნაწილს უკავია ω არე (მისი გეომეტრია სისქის გასწვრივ გათვალისწინებულია ღუნვის განტოლების კოეფიციენტებში);
- 3) მცირე სიდიდეების უკუგლების შემდეგ (4.1.7)-(4.1.9) საკონტაქტო პირობები შემდეგნაირად ჩაიწერება

$$\frac{\partial w(x_1, x_2, t)}{\partial t} = v_3(x_1, x_2, 0, t), \quad v_\alpha(x_1, x_2, 0, t) = 0, \quad (4.1.10)$$

$$\alpha = 1, 2, \quad (x_1, x_2) \in \omega;$$

4) $h^{(\pm)}(x_1, x_2)$ -ის უგულებელყოფისა და იმის გათვალისწინებით, რომ სიბრტყის ω ნაწილის ნორმალებია x_3 და $-x_3$, (4.1.6) მიიღებს

$$q(x_1, x_2, 0, t) = \sigma_{33}^f(x_1, x_2, 0+, t) - \sigma_{33}^f(x_1, x_2, 0-, t) \quad (4.1.11)$$

სახეს.

იდეალური სითხის შემთხვევაში

$$\sigma_N^f = -p(x_1, x_2, x_3, t)\vec{N},$$

სადაც $p(x_1, x_2, x_3, t)$ წნევაა. ამიტომ

$$\sigma_{N3}^f = -p \cos(\vec{N}, x_3)$$

და (4.1.6) საკონტაქტო პირობა მიიღებს

$$q(x_1, x_2, t) = -p \left(x_1, x_2, h^{(+)}(x_1, x_2), t \right) \cos \left(\vec{N} \left(x_1, x_2, h^{(+)}(x_1, x_2) \right), x_3 \right) - p \left(x_1, x_2, h^{(-)}(x_1, x_2), t \right) \cos \left(\vec{N} \left(x_1, x_2, h^{(-)}(x_1, x_2) \right), x_3 \right), \quad (4.1.12)$$

$$(x_1, x_2) \in \omega,$$

სახეს.

თუ კუთხე \vec{N} -სა და x_3 ღერძს შორის მცირეა, მაშინ (4.1.11) შეიძლება შემდეგი სახით ჩავწეროთ

$$\begin{aligned}
 q(x_1, x_2, t) = & -p \left(x_1, x_2, \overset{(+)}{h}(x_1, x_2), t \right) \\
 & + p \left(x_1, x_2, \overset{(-)}{h}(x_1, x_2), t \right), \quad (x_1, x_2) \in \omega,
 \end{aligned}
 \tag{4.1.13}$$

ზოგიერთი საკონტაქტო ამოცანა (4.1.10), (4.1.11) და (4.1.10), (4.1.12) საკონტაქტო პირობებში გამოკვლეულია [8-10]-ში.

თუ სითხეში ჩადებულია დრეკადი ფირფიტა ან ღერო, მაშინ შესაბამისად N -ური (იხ. §2.6) და (N_3, N_2) (იხ. §3.2) იერარქიული მოდულების გამოყენების დროს (4.1.1)-(4.1.5) საკონტაქტო პირობებში u^s და σ_{ij}^s სიდიდეების ნაცვლად უნდა ჩავსვათ მათი N -ური და (N_3, N_2) მიახლოებითი მნიშვნელობები.

$N = 0$ და $(0,0)$ მიახლოებაში (4.1.1) პირობებს შეიძლება სხვა სახეც მიეცეს.

მაგალითად, $N = 0$ მიახლოებაში (4.1.1) პირობები შეიძლება შემდეგი სახით ჩაიწეროს:

$$\begin{aligned}
 (2h)^{-1} u_{i0}^s = u_i^f(x_1, x_2, 0+, t) = u_i^f(x_1, x_2, 0-, t) = u_i^f(x_1, x_2, 0, t), \\
 i = 1, 2, 3,
 \end{aligned}$$

და, მუდმივი სისქის შემთხვევაში,

$$\begin{aligned}
 q_\beta & := \sigma_{3\beta}^f \left(x_1, x_2, \overset{(+)}{h}, t \right) - \sigma_{3\beta}^f \left(x_1, x_2, \overset{(-)}{h}, t \right) \\
 & = 2\rho h \frac{\partial^2 u_\beta^f(x_1, x_2, 0, t)}{\partial t^2} \\
 & - \left\{ \Phi_{\beta 0}^s + 2h \left[\mu \Delta u_\beta^f(x_1, x_2, 0, t) + (\lambda + \mu) u_{\gamma, \gamma \beta}^f(x_1, x_2, 0, t) \right] \right\}, \\
 & \beta = 1, 2;
 \end{aligned}$$

$$\begin{aligned}
q_3 &:= \sigma_{33}^f(x_1, x_2, h^{(+)}, t) - \sigma_{33}^f(x_1, x_2, h^{(-)}, t) \\
&= 2\rho h \frac{\partial^2 u_3^f(x_1, x_2, 0, t)}{\partial t^2} \\
&\quad - \left[\Phi_{30}^s + 2\mu h \Delta u_3^f(x_1, x_2, 0, t) \right], \quad (x_1, x_2) \in \omega,
\end{aligned}$$

ხოლო ცვლადი სისქის შემთხვევაში

$$\begin{aligned}
&\sigma_{i\beta}^f(x_1, x_2, h^{(+)}, t) \cos(n, x_i) \sqrt{1 + \left(h_{,1}^{(+)}\right)^2 + \left(h_{,2}^{(+)}\right)^2} \\
&+ \sigma_{i\beta}^f(x_1, x_2, h^{(-)}, t) \cos(n, x_i) \sqrt{1 + \left(h_{,1}^{(-)}\right)^2 + \left(h_{,2}^{(-)}\right)^2} \\
&= 2\rho h \frac{\partial^2 u_\beta^f(x_1, x_2, 0, t)}{\partial t^2} \\
&- \left\{ \Phi_{\beta 0}^s + 2h \left[\mu \Delta u_\beta^f(x_1, x_2, 0, t) + (\lambda + \mu) \left(u_\gamma^f(x_1, x_2, 0, t) \right)_{,\gamma\beta} \right. \right. \\
&\quad \left. \left. + \lambda (\ln h)_{,\beta} \left(u_\alpha^f \right)_{,\alpha} \right. \right. \\
&\quad \left. \left. + \mu (\ln h)_{,\alpha} \left(u_\alpha^f(x_1, x_2, 0, t) \right)_{,\beta} + \mu (\ln h)_{,\alpha} \left(u_\beta^f(x_1, x_2, 0, t) \right)_{,\alpha} \right] \right\},
\end{aligned}$$

$$\begin{aligned} & \sigma_{i3}^f(x_1, x_2, h, t) \cos(n, x_i) \sqrt{1 + \left(h_{,1}^{(+)}\right)^2 + \left(h_{,2}^{(+)}\right)^2} \\ & + \sigma_{i3}^f(x_1, x_2, h, t) \cos(n, x_i) \sqrt{1 + \left(h_{,1}^{(-)}\right)^2 + \left(h_{,2}^{(-)}\right)^2} \\ & = 2\rho h \frac{\partial^2 u_3^f(x_1, x_2, 0, t)}{\partial t^2} \end{aligned}$$

$$- \left\{ \Phi_{30}^s + 2\mu h \left[\Delta u_3^f(x_1, x_2, 0, t) + (\ln h)_{,\alpha} \left(u_3^f(x_1, x_2, 0, t) \right)_{,\alpha} \right] \right\},$$

$$(x_1, x_2) \in \omega, \quad i = 1, 2, 3.$$

$(0,0)$ მახლოებაში (4.1.1) პირობები შემდეგი სახით ჩაიწერება (იხ. (3.2.12)):

$$(4h_2 h_3)^{-1} u_{i00}^s = u_i^f(x_1, 0, 0, t), \quad i = 1, 2, 3;$$

$$\begin{aligned}
& \sum_{i=2}^3 \sum_{\substack{k=1 \\ k \neq i}}^3 \left[\sqrt{1 + \left(h_{5-i,1}^{(+)} \right)^2} \right. \\
& \times \int_{h_i(x_1)^{(-)}}^{h_i(x_1)^{(+)}} \sigma_{kj}^f(x_1, \delta_{5-i,2} h_2 + \delta_{5-i,3} x_2, \delta_{5-i,2} x_3 + \delta_{5-i,3} h_3^{(+)} \\
& \times \cos(v_{5-i}, x_k) dx_i - (-1)^{n_{5-i}} \sqrt{1 + \left(h_{5-i,1}^{(-)} \right)^2} \\
& \times \int_{h_i(x_1)^{(-)}}^{h_i(x_1)^{(+)}} \sigma_{kj}^f(x_1, \delta_{5-i,2} h_2 + \delta_{5-i,3} x_2, \delta_{5-i,2} x_3 + \delta_{5-i,3} h_3^{(-)} \\
& \times \cos(v_{5-i}, x_k) dx_i \left. \right] = 4\rho h_2 h_3 \frac{\partial^2 u_j^f(x_1, 0, 0, t)}{\partial t^2} \\
& - \left\{ \Phi_{j00}^s + 4A_j [h_2 h_3 u_{j,1}^f(x_1, 0, 0, t)]_{,1} \right\}, \quad j = 1, 2, 3, \quad x_1 \in]0, L[.
\end{aligned}$$

სტატიკურ შემთხვევაში უკანასკნელი სამი დიფერენციალური ტოლობის x_1 -ის მიმართ ინტეგრებით თითოეულისათვის ორი უცნობი მუდმივის შემცველ ინტეგრალურ დამოკიდებულებას მივიღებთ $]0, L[$ -ზე.

ამოცანები ასეთი საკონტაქტო პირობებით ჯერ-ჯერობით გამოკვლეული არ არის.

(4.1.1)-(4.1.5) საკონტაქტო პირობები გამოიყენება აგრეთვე დრეკადი სხეულების ურთიერთქმედების ინტერფეისზე (იხ. [56], თავი 6).

§4.2. drekadi da Txevadi nawilebisagan Semdgari sxeulis rxeva

განვიხილოთ მყარი დრეკადი ნაწილისა და თხევადი ნაწილისაგან შემდგარი სხეულის (კომპოზიციური გარემოს) წერტილების მცირე გადაადგილებები დრეკადობის წრფივი და სითხეების მოსვენებული მდგომარეობის მიმართ გაწრფივებული თეორიის საფუძველზე. ვთვლით, რომ მყარი და თხევადი ნაწილები სივრცეში პერიოდულადაა განაწილებული (მცირე პერიოდით). მყარი ნაწილი (ფაზა) შეიძლება იყოს ბმული, რომელიც შედგება ერთი მყარი სხეულისაგან არხებით, სადაც სითხე მოძრაობს, ან არაბმული, ე.ი. სითხეში ჩადებულია მყარი ნაწილაკები. დავუშვათ, რომ სითხე ბაროტროპულია [56].

მყარ ნაწილში გვექნება დრეკადობის წრფივი თეორიის შემდეგი დამოკიდებულებები (იხ. თავი IV):

$$\rho^s \frac{\partial^2 u_i^s}{\partial t^2} = \sigma_{ij,j}^s + \Phi_i^s, \quad (4.2.1)$$

$$\sigma_{ij}^s = a_{ijkl}^s e_{kl}(\vec{u}^s), \quad e_{kl}(\vec{u}^s) = \frac{1}{2}(u_{k,l}^s + u_{l,k}^s), \quad (4.2.2)$$

სადაც ნიშნაკი s მიუთითებს მყარ ნაწილზე, a_{ijkl}^s კოეფიციენტებს სიმარტივისათვის ჩავთვლით მუდმივებად, რომლებიც აკმაყოფილებენ სიმეტრიის

$$a_{ijkl}^s = a_{jikl}^s = a_{klij}^s = a_{jilk}^s \quad (4.2.3)$$

(ცხადია, პირველი ორი ტოლობიდან გამომდინარეობს მესამე) და დადებითად განსაზღვრულობის

$$a_{ijkl}^s e_{ij} e_{kl} \geq \delta e_{ij} e_{ij}, \quad \delta = const > 0, \quad e_{ij} = e_{ji} \quad (4.2.4)$$

პირობებს, $\vec{u}^s := (u_1^s, u_2^s, u_3^s)$.

თხევად ნაწილში გვექნება სითხეების გაწრფივებული

თეორიის შემდეგი დამოკიდებულებები (იხ. თავი V)

$$\rho^f \frac{\partial^2 u_i^f}{\partial t^2} = \sigma_{ij,j}^f + \Phi_i^f, \quad (4.2.5)$$

$$\sigma_{ij}^f = -\delta_{ij} p + (\lambda \delta_{ij} \delta_{kl} + 2\mu \delta_{ik} \delta_{il}) e_{kl} \left(\frac{\partial \bar{u}^f}{\partial t} \right), \quad (4.2.6)$$

სადაც ნიშნაკი f მიუთითებს თხევად ნაწილზე, λ და μ სიბლანტის კოეფიციენტებია, რომლებიც აკმაყოფილებენ

$$\mu > 0, \quad \frac{\lambda}{\mu} > -\frac{2}{3} \alpha; \quad 0 < \alpha < 1, \quad (4.2.7)$$

პირობებს, $\bar{u}^f := (u_1^f, u_2^f, u_3^f)$.

შეგნიშნოთ, რომ სითხის მოძრაობის განტოლებები ჩვეულებრივ ჩაწერილია სიჩქარის

$$\bar{v}^f = \frac{\partial \bar{u}^f}{\partial t} \quad (4.2.8)$$

ვექტორის მიმართ, მაგრამ აქ ჩვენ, (4.2.1) განტოლებებთან შეთანხმების მიზნით, ისინი ჩავწერეთ u^f -ის მიმართ.

სითხისა და მყარი სხეულის ρ^f და ρ^s სიმკვრივეები წონასწორობის მდგომარეობაში სიმარტივისათვის ჩავთვალოთ მუდმივებად.

სითხის ბაროტროპულობის კანონს განვიხილავთ

$$p = c^2 \tilde{\rho}^f \quad (4.2.9)$$

სახით, სადაც $c > 0$ ბგერის გავრცელების სიჩქარეა, ხოლო $\tilde{\rho}^f$ სითხის სიმკვრივის შეშფოთებაა. გარდა ამისა, რადგანაც

$$\frac{\partial \tilde{\rho}^f + \rho^f}{\partial t} = \frac{\partial \tilde{\rho}^f}{\partial t}$$

და $\tilde{\rho}^f \operatorname{div} \bar{\mathbf{v}}$ შეიძლება უგულებელვყოთ წრფივ მიახლოებაში, მასის შენახვის (ე.ი. უწყვეტობის) განტოლება მიიღებს

$$\frac{\partial \tilde{\rho}^f}{\partial t} + \rho^f \operatorname{div} \bar{\mathbf{v}} = 0$$

სახეს, საიდანაც ინტეგრების შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ $\tilde{\rho}^f = 0$, თუ $\bar{\mathbf{u}} = 0$, მივიღებთ, რომ

$$\tilde{\rho}^f + \rho^f \operatorname{div} \bar{\mathbf{u}} = 0. \quad (4.2.10)$$


ამდენად (4.2.9) მიიღებს

$$p = -c^2 \rho^f \operatorname{div} \bar{\mathbf{u}} \quad (4.2.11)$$

სახეს.

(4.2.11)-ის (4.2.6)-ში ჩასმის შემდეგ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ σ_{ij}^f დამოკიდებულია როგორც გადაადგილების $\bar{\mathbf{u}}^f$

ვექტორზე, ასევე სიჩქარის $\frac{\partial \bar{\mathbf{u}}^f}{\partial t}$ ვექტორზე.



ნახ. 4.2.1

I ინტერფეისზე (იხ. ნახ. 4.2.1) ვიხილავთ გადაადგილებებისა და დაბჯების უწყვეტობის

$$[u_i] = 0, \quad [\sigma_{ij} n_j] = 0 \quad (4.2.12)$$

პირობას, სადაც კვადრატული ფრჩხილები, ჩვეულებისამებრ, შესაბამისი სიდიდეების ნახტომს აღნიშნავს.

ჩვენ განვიხილავთ ერთგვაროვან (თუმცა არაერთგვაროვანი პირობების განხილვაც შეიძლებოდა)

$$\bar{u}|_{\partial\Omega} = 0, \quad t \geq 0 \quad (4.2.13)$$

სასაზღვრო და

$$\bar{u}(x_1, x_2, x_3, 0) = 0, \quad \frac{\partial \bar{u}(x_1, x_2, x_3, 0)}{\partial t} = 0, \quad (4.2.14)$$

$$x := (x_1, x_2, x_3) \in \Omega,$$

საწყის პირობებს, სადაც $\Omega := \Omega^s \cup \Omega^f \cup I$.

(4.2.1), (4.2.5), (4.2.12)-(4.2.14) ამოცანის ვარიაციულ ფორმულირებას აქვს შემდეგი სახე:

ვეძებთ \bar{u} ვექტორს, როგორც t -ს ფუნქციას მნიშვნელობებით $[H_0^1(\Omega)]^3$ -ში, ისეთს, რომ

$$\int_{\Omega} \rho \frac{\partial^2 u_i}{\partial t^2} w_i dx + \int_{\Omega} \sigma_{ij} w_{i,j} dx = \int_{\Omega} \Phi_i w_i dx \quad \forall w_i \in H_0^1(\Omega), \quad (4.2.15)$$

$$\bar{u}(0) = \frac{d\bar{u}(0)}{dt} = 0, \quad (4.2.16)$$

სადაც

$$u_i := \begin{cases} u_i^s, & x \in \Omega^s; \\ u_i^f, & x \in \Omega^f, \end{cases} \quad \rho := \begin{cases} \rho^s, & x \in \Omega^s; \\ \rho^f, & x \in \Omega^f, \end{cases} \quad \sigma_{ij} := \begin{cases} \sigma_{ij}^s, & x \in \Omega^s; \\ \sigma_{ij}^f, & x \in \Omega^f, \end{cases}$$

$$\Phi_i := \begin{cases} \Phi_i^s, & x \in \Omega^s; \\ \Phi_i^f, & x \in \Omega^f. \end{cases} \quad (4.2.17)$$

სობოლევის^{*)} $[H_0^1(\Omega)]^3$ სივრცე არის ისეთი Ω -ზე განსაზღვრული ვექტორ-ფუნქციების სიმრავლე, რომელთა კომპონენტები $u_i \in H_0^1(\Omega)$, ე.ი. კვადრატში ჯამებადია, მათი განზოგადებული ან განაწილების აზრით წარმოებულებიც ასევე კვადრატში ჯამებადია და მათი კვალები $\partial\Omega$ -ზე ნულის ტოლია (იხ. დამატება 1 და §1.21).

(4.2.15)-ის მისაღებად (4.2.1) და (4.2.5) უნდა ჩავწეროთ, (4.2.17)-ის გამოყენებით, ერთიანი სახით Ω -ზე; ამ უკანასკნელის ორივე მხარე გავამრავლოთ $w_i \in H_0^1(\Omega)$ -ზე; მიღებული ვანტეგრით Ω -ზე და σ_{ij} -ის შემცველ წვევრში მოვახდინოთ ნაწილობითი ინტეგრება, იმის გათვალისწინებით, რომ w_i ფუნქციების კვალი $\partial\Omega$ -ზე ნულის ტოლია. e_{ij} -ის სიმეტრიულობის გამო ცხადია, რომ

$$\begin{aligned} \sigma_{ij}(\bar{u})e_{ij}(\bar{w}) &= \frac{1}{2}\sigma_{ij}(\bar{u})(w_{i,j} + w_{j,i}) \\ &= \frac{1}{2}\sigma_{ij}(\bar{u})w_{i,j} + \frac{1}{2}\sigma_{ji}(\bar{u})w_{i,j} = \sigma_{ij}(\bar{u})w_{i,j} \end{aligned} \quad (4.2.18)$$

და, ამდენად, (4.2.15)-ში $w_{i,j}$ -ის ნაცვლად შეიძლება $e_{ij}(\bar{w})$ ჩავსვათ.

^{*)} ს.ლ. სობოლევი (1908-1988).

თუ (4.2.11)-ს ჩავსვამთ (4.2.6)-ში, მაშინ σ_{ij} ცალსახად განისაზღვრება \bar{u} -სა და მისი წარმოებულების საშუალებით. თუ მხედველობაში მივიღებთ (4.2.18)-ს, ადვილი სანახავია, რომ

$$\int_{\Omega} \sigma_{ij} w_{i,j} dx \equiv a(\bar{u}, \bar{w}) + b\left(\frac{\partial \bar{u}}{\partial t}, \bar{w}\right), \quad (4.2.19)$$

სადაც

$$a(\bar{u}, \bar{w}) := \int_{\Omega} a_{ijkl}(x) e_{kl}(\bar{u}) e_{ij}(\bar{w}) dx,$$

$$b(\bar{v}, \bar{w}) := \int_{\Omega} b_{ijkl}(x) e_{kl}(\bar{v}) e_{ij}(\bar{w}) dx,$$

$$a_{ijkl}(x) := \begin{cases} a_{ijkl}^s, & \text{თუ } x \in \Omega^s; \\ a_{ijkl}^f = \rho^f c^2 \delta_{ij} \delta_{kl}, & \text{თუ } x \in \Omega^f, \end{cases}$$

$$b_{ijkl}(x) := \begin{cases} b_{ijkl}^s \equiv 0, & \text{თუ } x \in \Omega^s; \\ b_{ijkl}^f = 2\mu \delta_{ik} \delta_{jl} + \mu \delta_{ij} \delta_{kl}, & \text{თუ } x \in \Omega^f, \end{cases}$$

რადგანაც

$$\begin{aligned} \delta_{ij} p c^2 \rho^f \operatorname{div} \frac{\partial \bar{u}}{\partial t} &= \delta_{ij} p c^2 \rho^f \operatorname{div} \bar{v} = \delta_{ij} p c^2 \rho^f v_{k,k} \\ &= \delta_{ij} p c^2 \rho^f e_{kk}(\bar{v}) = \delta_{ij} \delta_{kl} p c^2 \rho^f e_{kl}(\bar{v}). \end{aligned}$$

SeniSvna 4.2.1. ცხადია, a და b არ არიან $H_0^1(\Omega)$ -ზე კოერციტიულები. თუმცა მათი ჯამი კოერციტიულია, ე.ი. $\exists \gamma = \text{const} > 0$ ისეთი, რომ

$$a(\bar{u}, \bar{u}) + b(\bar{u}, \bar{u}) \geq \gamma \|\bar{u}\|_{H_0^1(\Omega)}^2. \quad (4.2.20)$$

მართლაც, (4.2.7) და (4.2.4)-დან გამომდინარეობს, რომ

$$a(\bar{u}, \bar{u}) + b(\bar{u}, \bar{u}) \geq \delta \int_{\Omega} e_{ij}(\bar{u}) e_{ij}(\bar{u}) dx$$

და ამის შემდეგ (4.2.20) შეიძლება ისე დამტკიცდეს როგორც ლემა 1.2 [56]-ის VI თავში.

SeniSvna 4.2.2. (4.2.3), (4.2.4) და (4.2.7) პირობებში (4.2.15) საწყის-სასაზღვრო ამოცანას აქვს ერთადერთი ამონახსნი, ისეთი, რომ

$$\bar{u}, \frac{\partial \bar{u}}{\partial t}, \frac{\partial^2 \bar{u}}{\partial t^2} \in L_2(0, T; [H_0^1(\Omega)]^3).$$

რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც t -ს ფუნქციები

$$\bar{u}, \frac{\partial \bar{u}}{\partial t}, \frac{\partial^2 \bar{u}}{\partial t^2} \in [L_2(0, T)]^3$$

და ყოველი მათგანი ფიქსირებული $t \in [0, T]$ -სთვის იღებს მნიშვნელობებს, რომლებიც $[H_0^1(\Omega)]^3$ -ს ეკუთვნიან.